ტფილისი
40

№ 22
იანვრის 28, სამშაბათია 1903 წ.
1877

ივერია

№ 22
იანვრის 28, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

24-ს იანვარს 1903 წ. პეტერბურგში უეცრად გარდაიცვალა **მთავრად ნამყოფი, უგანათლებულესი თავადი**

სამეგრელოსი ნიკოლოოზ დავითის ძე

28 ამა იანვარს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დილის ათ საათზე დაიწყება. (2—2)

1903 წელს

გაზეთი „ივერია" გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით არის **თ უ მ ა ნ ი ა**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.

აქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.

საჩხერეში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа".

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—1)

№ 33. ტელეფონი № 176.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 იანვარს, 1903 წ.

ბენეფისი მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ალოუმი

კომედია 4 მოქმედ.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: მ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ნ. გამყრელიძისა, ოლ. დეკანოზი, რიონელი, ჩე რქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, მესხი, ს. სვიმონიძე, ი. ივანიძე, შაიოიშვილი, საფაროვი, ჟღენტი და სხ.

II

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ ოპერის არტისტები: ქ.ქ. გაშინსკისა, არციბაშევისა; ბ.ბ. შტეინბერგი, ტომაშევიჩი და სოლსკი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად „მიკუნჭული ბედნიერება", „ნორა", „სიძე-სიმამრი", „ჩატეხილი ხიდი", „დარღვეული კერა".

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ისყიდება

ვერაზედ. სათავად-აზნაურო სკოლის შენობის პირდაპირ, სამოსახლო 300 საჟ.

მიწა

იკითხეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შიო ქუჩუკაშვილთან და ან წიგ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ალექსანდრეს ბაღის თავში ელისაბედ მესხიშვილთან. (10—6.—7).

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზაქარიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ ოთხშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 28 **იანვარი** 1903 **წ.**

მამა ჭელიძეს წაუკითხავს თავისი მოხსენება შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო კრებაზე, რომელშიაც ურჩევს: გადასდოს ამ კრებამ 70,000 მანეთი ხელუხლებელ თანხად და ამ თანხის სარგებელი საუკუნოდ აძლიოს სამრევლო სკოლებსა.

საოცარი ხასიათის ხალხი ვართ ქართველები: ჭირივითა გვძულს თვით-მოქმედება. ევროპასა და ამერიკაში სულ იმასა სცდილობენ, რომ საზოგადო საქმის გამგებლობა საზოგადოებისავე ხელში იყოს, თვით-მოქმედების პრინციპს ექვემდებარებოდეს, ჩვენ-კი, თუ რიგიანი აზრი მოგვივიდა, მის განხორციელებას ჩვენ-კი არა ვკისრულობთ, არამედ ვცდილობთ, რომელსამე ოფიციალურს დაწესებულებას ჩავუგდოთ ხელში...

მეტადრე ხალხის განათლების სფეროში ვუფრთხით თვით-მოქმედებასა. ვსთქვათ, რომელმამე ქართველმა მოიწადინა სკოლის დაარსება საკუთარის ღონისძიებით. მისს დიდს საგონებელს ამ შემთხვევაში შეადგენს მხოლოდ ეს საკითხი: სამრევლო სკოლა დავაარსო, თუ სამინისტროო? იგი იმდენად თვალხილულია, რომ არაფერ საუნჯედ მიაჩნია არც ერთის ტიპის სკოლა და არც მეორისა; მაგრამ ამ ორს უარესში ერთ-ერთს მაინც ირჩევს, და საკუთარის სკოლის ბედ-იღბალს ხელში უგდებს ან სამღვდელოებას, ან დირექციას. რად სჩადის ამასა? ეშინიან თვით-მოქმედებისა, საკუთარის უნარისა, საკუთარის თავისუფლებისა ამ საქმეში.

იგი მოკლებულია იმ ელემენტარულის ჭეშმარიტების ცოდნას, რომ თვით-მოქმედება, პირადი სამსახური საზოგადო ასპარეზზე საუკეთესო ღონის-ძიება თავისის საკუთარის ადამიანობის აღზრდისათვის, რომ საზოგადო საქმე ადამიანის სულსა და გულს აკეთილშობილებს, ამაღლებს, ხასიათს აფოლადებს, და ამის გამო ფრიად სასარგებლოა, საბედნიეროა პირადად მომქმედ პირისათვის. პასსიურ კეთილ სურვილების ამაოება-კი მშვენივრად არის გამოხატული შემდეგს ანდაზაში: თვით ჯოჯოხეთი მთლად მოკირწყლულია კეთილის სურვილებითაო...

არ მცოდნე ამისი, კეთილ განზრახვით გამსჭვალული ქართველი, საკუთარს უნარს-კი მოკლებული, ეძებს თავისს დაწყობილს საზოგადო საქმეს, საზოგადო სკოლას მოუპოვოს გარეშე გამგე, ხელმძღვანელი, ბატონი და თვითონ-კი შორიდგან სეირს უყუროს. იგი ამ შემთხვევაში იქცევა სწორედ ისე, როგორც მოიქცა ერთი სარაკო ყვავი, რომელმაც თავისი ბახალა მიუგდო ბუსა, იმ იმედით, რომ ეს დიდთავა კარგს ბარტყს გაუზრდიდა; მაგრამ საშინლად მოსტყუვდა, რადგანაც ბუს გაზრდილი არც ყვავი გამოვიდა და არც ბუ, არამედ რაღაც მახინჯი ფრთოსანი.

თვით-მოქმედების შიშის გარდა, აქ ხშირად მოქმედებს უმეცრებაც. აქამდინ ბევრს განათლებულს ქართველსაც-კი არა აქვს შეგნებული, რომ კერძო პირს კანონი ნებას აძლევს საკუთარი, კერძო სასწავლებელი გახსნას იმისთანა ტიპისა, რომელიც უფრო შეეფერება ადგილობრივთა საჭიროებათა, და თავის ნებაზედ აწარმოვოს მეტ-ნაკლებობით. მან არ იცის, რომ ამისთანა კერძო სკოლებს ბლომა უფლება აქვთ მინიჭებული, და ამ გვარის სკოლების დამაარსებელს შეუძლიან საკუთარი პროგრამით აწარმოვოს სწავლა-აღზრდის საქმე და აიცილოს თავიდგან ის ნაკლულევანებანი, რომელნიც სამინისტრო და სამრევლო სკოლების კუთვნილებას შეადგენენ.

განათლება ქართველთა შორის დიდს ნაბიჯს გადასდგამს წინ, თუ კერძო პირები სავსებით გამოიყენებენ წესდებულებას შესახებ კერძო სასწავლებლებისა და ამრავლებენ ამგვარ სკოლებსა. ეს მით უფრო სანატრელია, რომ ჩვენი ახალი მინისტრი განათლებისა აპირობს თურმე კიდევ უფრო გააძლიეროს უფლებანი კერძო სასწავლებლებისა, რათა მათმა რიცხვმა იმატოს და ხელი შეუწყოს ხალხის განათლებას, რომელიც რუსეთში თითქმის იმდენადვეა უკან ჩამორჩენილი, რამდენადაც აზიაში...

იმავე კანონით, რომელიც აწესრიგებს კერძო სასწავლებლების დაარსებას და მოქმედებას, უნდა ისარგებლოს ქიათურის საბჭომაც და საკუთარი კერძო სასწავლებლები დააარსოს; თორემ, თუ მან მამა ჭელიძის წინადადება მიიღო, ფული ბევრი დაეხარჯება, ხოლო სარგებელს-კი ვერაფერს ეღირსება, და აქაც სავსებით აცხადდება სარაკო ყვავის და ბუს ანდაზა...

ტფილისი

◆ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც მოისმენს რამდენსამე მოხსენებას მეურნეობისა და მრეწველობის გაუმჯობესების შესახებ მემამულეთა შორის.

◆ მოგვივიდა ცალკე წიგნაკად დაბეჭდილი თხზულება ექიმის ი. ს. ელიაშვილისა: „სამკურნალო-სატოპოგრაფიო აღწერა ზაქათალის ოლქისა — **Медико-топографическое описаніе Закатальскаго округа.** ბ-ნი ელიაშვილი წინად, ვიდრე ბაქოს ქალაქის მკურნალად დაინიშნებოდა, ზაქათალაში იყო ექიმად, იქ დააკვირდა ამ ქვეყანას, შეისწავლ მისი ავი და კარგი და თვისნი დაკვირვებანი მოხსენების სახით შედგენილი, წაუკითხავ „ბაქოს მკურნალთა საზოგადოების კრებაზედ" ამ მოხსენებაში მოთავსებულია საინგილო ისტორიული, ტოპოგრაფიული ბიოლოგიუ რი და ეტნოგრაფიული მიმოხილვა.

◆ მივაქცევთ ჩვენის მკითხველების ყუ რადღე'ას ბ-ნის ი. სვიმონიძის წერილს რომელიც დაბეჭდილია გაზ. „ნოვ. ობოზრ ნიეში" 14, 18 და 22 იანვრის ნომრებში სათაურით: **Объ одной изъ злобъ дня.** წ რილს საგნად აქვს გამოარკვიოს ის მიზეზებ რომელთა წყალობით სხვა ქვეყნებში სახელო ნო სკოლა ფრიად დიდს სიკეთეს სთეს ხალხში და ჩვენში თითქმის უნაყოფოა ფრიად ნაკლები სარგებლობა მოაქვს.

◆ პარასკევს, 31 იანვარს, სამეურნეო ს ზოგადოების წევრთა კრებას მსჯელობა ნება იმის შესახებ, რომ შემუშავებულ ი ნას, რა სახით წარედგინოს სასოფლო-სამეუ ნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტს მოხსენებანი, რომელნიც მოსმენილ იქმნა ზოგადოების მიერ და მოწონებული. საზოგ

დოებამ უნდა აუწყოს კომიტეტს, რა და რა საჭიროებანია, მისის აზრით, უმთავრესნი ჩვენის ქვეყნისათვის და რომელთ დაკმაყოფილებას უნდა მიექცეს ყურადღება პეტერბურგის განსაკუთრებულის ბჭობისა.

◆ დღეს ქალაქის გამგეობის სადგურში დანიშნულია პურზედა და ხორცზედ ნიხრის დამდგენელ კომისიის წევრთა კრება.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებში გაჰმართოს გამოფენა—კონკურსი სხვა და სხვა ნაწარმოებთა; მეაბრეშუმეობის კონკურსის გამართვა დანიშნულია ამ დღეებში დაბა ოჩამჩირეს; მეფუტკრეობის გამოფენა გაიმართება რაჭის სხვა, და-სხვა კუთხეში.

◆ 26 იანვარს ქალაქის ხორცის დუქნების გამგემ ბ-ნა ალიხანოვმა ნავთლუღში, საქონლის სადგურებთან, ჩაიბარა ახლად აშენებული სათივეები, რომელიც დაჯდა 2000 მანეთად.

◆ დღეს დანიშნულია ტფილისის საჰიდრავლიკო ელექტრონის სადგურის კომისიის წევრთა კრება; თავმჯდომარე კომისიისა ინჟინერი კირაკოზოვი წარუდგენს კომისიას ყველა ცნობას, რაც დღევანდლამდე შეუძენია ამ საქმის თაობაზედ; კომისიავე მოისმენს კირაკოზოვისგანვე შედგენილ მოხსენებას; კირაკოზოვის გამოანგარიშებით, უსახელო საზოგადოებამ რომ იკისროს აქ სადგურის აგება და ამის სამაგიეროდ მან რომ ისარგებლოს სადგურის შემოსავლით ათის წლის განმავლობაში, არაფერს არ წააგებსო; ქალაქის გამგეობას-კი ამ ხნის განმავლობაში ეს სადგური შემოუტანდა 8,642,000 მანეთსაო.

◆ ვერა და ვერ მოუღო ბოლო ქალაქის ხელოსანთა თავმა ბ-ნმა რაფაელოვმა ხელოსანთა თავად ნამყოფის სეროზიანცის საქმეებს. საქმე ის არის, რომ როდესაც სეროზიანცმა დაანება თავი და ამორჩეულ იქმნა მის თანამდებობაზედ რაფაელოვი, მაშინ სეროზიანცმა ზოგიერთი საქმე ჩაკეტა განჯინაში და გასაღები ჯიბეში ჩაიდო; ამასთანავე არც მოისურვა ახლად ამორჩეულ ხელოსანთა თავისათვის ჩაებარებინა ქონება და წიგნების ანგარიში; ბ-ნი რაფაელოვი სცდილობდა ამ გარემოებისთვის ბოლო მოეღო: რამდენჯერმე მიმართა გუბერნატორს, რაიმე დახმარება აღმოეჩინა და სეროზიანცისათვის ებრძანებინა საქმეებისა და ქონების ჩაბარება; ბ-ნი სეროზიანცი, გუბერნატორის უკანასკნელ ბრძანებაზედ, ესე მოიქცა: ხელოსანთა თავს ბ-ნ რაფაელოვს გასაღები გამოუგზავნა და შემოუთვალა: გააღეთ და ჩაიბარეთო. ამაზედ რაფაელოვმა უარი განაცხადა და განზრახვა აქვს მიმართოს გუბერნატორს, რომ მან მაინც დანიშნოს თავის მოხელე, რომ მის თანადასწრებით ჩაიბარონ ყოველივე.

◆ კვირას, 26 იანვარს, ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ავჭალის ქუჩის სახალხო წარმოდგენების სექციამ წარმოადგინა გულისაშვილის „დრონი ეფობენ“.

◆ იაფ-ფასიან და უფასო სასადილოების აზოგადოების კომიტეტმა მიიღო ამ დღეებში შემოწირულება საზოგადოების სასარგებლოდ განსვენებულ ისააკ ავ. მამიკონოვის ქვრივისაგან 300 მ., ხოლო ა. ი. გუკასოვისაგან 200 მანეთი. კომიტეტს განუზრახავს სასადილოები აწინდელზედ უკეთ მოაწყოს და საქმელიც გააიაფოს.

განათლებულესი თავადი ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკი.

(ბიოგრაფიული ცნობანი)

გუშინწინდელმა დეპეშამ სამწუხარო ამბავი ოგვიტანა პეტერბურგიდგან. იქ უეცრად არდაცვლილა უგანათლებულესი თავადი საეგრელოსი ნიკოლოზ დავითის ძე. ეს იყო ამეგრელოს მთავრის დავით დადიანის უფოსი შვილი. როდესაც მამა მოუკვდა და მაწვილად დარჩა, სამთავროს გამგებლობა ის სრულ წლოვანობამდინ გადავიდა დედოალ ეკატერინეზედ, რომელიც იყო ალექანდრე ჭავჭავაძის ასული.

შემდეგ მთავრის დავით დადიანის გარდავალებისა, ასტყდა ომი რუსეთსა და ოსმაეთს შორის და ამ ომიანობის დროს დეოფალმა ეკატერინემ დიდი მოთმენა, მხნეოა, სიმტკიცე და რუსეთისადმი ერთგულება ამოიჩინა. ერთხანად, როდესაც ომარ-ფაშა იდის ჯარით ქუთაისის გუბერნიას შემოესია ა უქადდა მთელს გუბერნიას დაპყრობას, ედოფალი ეკატერინე გამაგრდა თავის მეგელებით სოფელ გორდში და არ უღალატა უსთ ხელმწიფეს, თუმცა ომარ-ფაშა დიდ ფულებს ჰპირდებოდა, თუ ოსმალების მხაეს დაიჭერდა. როდესაც ომარ-ფაშამ ვერა აწყო-რა, მაშინ, გორდს რომ ვერა დააკო-რა, შეესია მთავრის სატახტო ქალაქს ზუგდიდს, აიკლო მთავრის მშვენიერი სასახლე. დიდძალი სიმდიდრე და ნივთეულობა გაზიდა, მიჩეხ მოჩეხა სამაგალითოდ გაშენებული სასახლესთან უშველებელი წალკოტი—ბაღი, თითონ სასახლე გადასწვა, და სრულიად გაანადგურა რაც მთავარს ზუგდიდში სიმდიდრე ებადა.

შემდეგ ყირიმის ომისა მოჰხდა სამეგრელოში გლეხთა არეულობა და დედოფალი თავის შვილებით (მას ჰყავდა ორი ვაჟი და ერთი ქალი) მოსკოვში მიიწვიეს აწ განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის დაგვირგვინებაზედ, სადაც დედოფალს ქალებში პირველი ადგილი ეჭირა. რვა თუ ცხრა წლის ნიკოლოზი, ფლიგელ ადიუტანტათ დანიშნული ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ I-ისაგან, როგორც მთავრად აღიარებული, იზიდავდა საზოგადოების ყურადღებას. შემდეგ დედოფალი აღარ დაბრუნებულა სამეგრელოში, სადაც დააწესეს დროებითი მართებლობა, ვიდრე ნიკოლოზი სრული წლოვანი გახდებოდა.

დედოფალი-კი თავის შვილებით საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც მიაღებინა მათ სწავლა-განათლება. ნიკოლოზი სრული წლოვანი შეიქნა დამთავრობის უფლება მიიღო, (ეს მოხდა 4 იანვარს 1867 წ.) მაშინ ნება-ყოფლობით დაემორჩილა იმ პოლიტიკის მიმართულებას, რომელსაც მტკიცედ ადგა რუსთ მთავრობა, შესახებ სამთავროების რუსეთთან შეერთებისა. ნაცვლად იმ ერთგულობისა, რომელიც დედოფალმა გამოიჩინა ყირიმის ომში, იმ დიდის ზარალისა, რომელიც მთავარს მიაყენეს ოსმალებმა და ნებაყოფლობით დათმობისა თავის სამთავრო უფლებისა, თავადს ნიკოლოზს უბოძეს ერთი მილიონი და ამასთანავე, რაც უძრავი მამულები ჰქონდა მთავარს, ისიც დაუბრუნეს.

შემდეგ ამისა, დედოფალი თავისის შვილებით მოგზაურობდა ხან კავკასიაში, ხან რუსეთში, მაგრამ უფრო უმეტესად ატარებდა დროს საზღვარ გარეთ, საფრანგეთში. იქ, როგორც დედოფალს, დიდ პატივის სცემდნენ და ნამეტნავად მიღებული იყო იმპერატორ ნაპოლეონის სასახლეში, სადაც დაუახლოვდნენ იმპერატორის ნათესავებს. ერთმა მათგანმა პრინცმა აჩილ მიურატმა, რომელსაც მოსწონდა ნიკოლოზის და სალომე, ითხოვა ცოლად მთავრის წული და დედოფალიც დასთანხმდა, რადგან ნაპოლეონს მაშინ დიდი ხმა ჰქონდა მთელ ევროპაში. ნიკოლოზმა თავის მილიონიდგან ნახევარი მილიონი დას მისცა და დიდი მზითევიც გაუკეთა. აგრეთვე უნუგეშოთ არ დასტოვა თავისი ძმა, რომელსაც ოცი ათასი თუმანი მისცა.

შემდეგ დისგათხოვებისა, ნიკოლოზი თავის დედით დაბრუნდა კავკასიაში და თავის სამშობლოში ატარებდა დროს, მაგრამ აუარებელმა დავი-დარაბამ, რომელიც ყოველ მხრიდგან აუტეხეს და აცლიდდნენ მამულებს, ამასთან მოსამსახურე აგენტების უვარგისობამ, რომელნიც უფრო ხშირად ჰოლატობდნენ, ვიდრე ერთგულობდნენ, გაუტეხეს გული და იძულებული იყო პეტერბურგში გადასახლებულიყო. იქ, დედოფლის რჩევით, შეირთო ცოლად სასახლის მინისტრის ადლერბეგის ასული. მაშინ ადლერბერგი იყო დიდი საყვარელი აწ განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორისა და ფრიად გავლენიანი კაცი.

თავადმა ნიკოლოზმა სცადა ცოლ-შვილით დასახლებულიყო სამეგრელოში, რადგან დიდად უყვარდა თავისი სამშობლო, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოების გამო ვერ მოიკიდა ოჯახობით ფეხი კავკასიაში.

შემდეგ ასტყდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის და თავადი სამეგრელოისა, როგორც ფლიგელ-ადიუტანტი, გაჰყვა ხელმწიფე იმპერატორს ომში. იქ დიდი მამაცობა გამოიჩინა, ასე რომ ერთბაშად მიიღო სამი სამხედრო ჯილდო.

შემდეგ ომიდგან დაბრუნებისა, კიდევ სცადა კავკასიაში ცხოვრება, მაგრამ შემდეგ რამდენისამე ხნისა, როდესაც ბოლგარიაში მთავარი უნდა დაენიშნათ, ხელმწიფე იმპერატორმა, აწ განსვენებულმა ალექსანდრე მესამემ, თავის არჩევანი ნიკოლოზზედ დაამყარა და კავკასიიდგან დაიბარეს 1882 წელს. თუმცა იმპერატორი მტკიცედ იდგა თავის არჩევანზედ, მაგრამ ევროპამ, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, არ იყაბულა მისი კანდიდატობა.

შემდეგ ამისა თ. ნიკოლოზს უბოძეს გენერლობა და ჰპირდებოდნენ დიდ ადგილსაც, მაგრამ ნიკოლოზმა რუსეთს თავი დაანება და გადმოსახლდა კავკასიაში. გამართა მშვენივრად სახლი გორდში, გააშენა გორდშივე ჩინებული ბაღი და ვენახები, მაგრამ მაინც ჩვენებურ დავიდარაბას და მოუწყობლობას ყოველისფერში, ვერ გაუძლო და ხელ მეორედ ამ ხუთის წლის წინად დაბრუნდა პეტერბურგს, რადგან მისი შვილები იქა სწავლობდნენ.

ულმობელმა სიკვდილმა აღარ აცალა თ. ნიკოლოზს შეესრულებინა თავისი აზრი და სამუდამოდ შვილითურთ (მას დარჩა ერთი ვაჟი, ისიც ნიკოლოზი, და ერთი ქალი კნეინა სალომე ობოლენსკისა) გადმოსახლებულიყო კავკასიაში.

თავ. ნიკოლოზი იყო ჩინებულად განათლებული, ნაკითხი, მეტად ზრდილობიანი და ამასთანავე უზომოდ გულკეთილი, მშვენივრად მოლაპარაკე და მოსიყვარულე, როგორც თავის ნათესავებისა, ისე თავის თანამემამულეთა. თავადი ნიკოლოზი აგრეთვე მეტის-მეტი თავმდაბალი და გულ-უხვი კაცი იყო. უკანასკნელ გროშსაც არ დაიშურებდა გაჭირვებულისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველთვის ეხვია მრავალი ღარიბი თავად-აზნაურობა, არც ერთი მოსწავლე, რომელიც-კი მასთან სათხოვნელად მივიდოდა, უნუგეშოდ არ დაბრუნდებოდა. ბევრს მათგანს უნიშნავდა სტიპენდიას და ათავებინებდა სწავლას. სენაკის სკოლას მან აღმოუჩინა დიდი შემწეობა, როგორც ადგილის შეწირვით, ისრე ფულით თოფურიის, საავადმყოფოს დაარსებაში, დიდი შემწეობა აღმოუჩინა, შესწირა 6000 მანეთი. წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა, რაც სამეგრელოს მთავრებს შეეძინათ დიდის ღვაწლით, დაცული გორდის სასახლეში, ბიბლიოთეკა იმავე საზოგადოებისათვის მშვენივრად დახატვინა და შემოსწირა შოთა რუსთველის სურათი, რომელიც აქამომდე ამშვენებს საზოგადოების დარბაზს.

სამწუხარო უფრო ის არის, რომ თავადი ნიკოლოზი არ იყო ხნიერი კაცი, სულ 56 წლისა იყო და ჯერ კიდევ ბევრს რასმე სასარგებლო საქმის გაკეთებას გვპირდებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, ულმობელმა სიკვდილმა აღარ დაცალა.

ვ. მ.

რას ჰგავს? *)

სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად გატეხილა ციხე შიგნიდგან და ახლაც გატყდა, ხოლო უფრო საწყენი კიდევ ის არის, რომ ამ შემთხვევაში გამცემი თ-დი ანდრია ერისთავი გამოდგა.

ქუთაისში კაი ხანია საზოგადოების ერთი პატარა ნაწილი შეძლებისადაგვარად ებრძოდა ყოველივე ბიწიერებას საზოგადო საქმეებში, ამ წრეს ეკუთვნოდნენ, სხვათა შორის, როგორც ბ-ნი ზდანოვიჩი, აგრეთვე თ-დი ერისთავიც, რომლებიც ამასთანავე პირადი ამხანაგებიც იყვნენ. ახლა ბავშმაც-კი იცის, რომ ამგვარი ჯგუფის წევრემა აუცილებლად ერთად, თანხმობით უნდა იმოქმედონ, და ერთმანეთის წინააღმდეგ იმათი დარევა ყოვლად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს. თ-დმა ანდრია ერისთავმა ეს ელემენტარული პირინციპიც დაარღვია, ამხანაგობაც გადალახა და, ბ-ნ ემერიკის გვერდში ამომდგარი, ბ-ნ ზდანოვიჩს დაუპირდაპირდა.

ამისთანა უკადრის საქციელს თვით ცხადაღებული ბ-ნი ჩიქვაიძეც არ ჩაიდენდა, ამხანაგის და თანამოაზრის წინააღმდეგ არ გამოვიდოდა. ახლა-კი ბ-ნი ჩიქვაიძე იცინის, მოწინააღმდეგე ბანაკის არევა უხარია .. ეს ერთი.

ჭიათურაში, როგორც მოგეხსენებათ, შავიქვის მრეწველნი იყოფიან ორ ჯგუფად, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ვერ ურიგდებიან: ერთს, უმეტესს, შეადგენენ ჩვენები, წვრილი მრეწველნი, მეორეს, უმცირესს—უცხოელი ექსპორტერები, ჩვენი ქვეყნის მჭამელნი.

უკანასკნელ დრომდე უფულობით გაჭირვებული ქართველი მრეწველი საცოდავად დაეჭყანებოდა ხოლმე უცხოელს: „მოიღეთ მოწყალება, მასესხეთ ფული, ქვას გამოვიღებ მიწიდგან და თქვენვე მოგართმევთო“. ექსპორტერებიც სარგებლობდნენ და, როგორც სურდათ, ისე ყვლეფდნენ ჩვენებს.

ახლა ეს სულის ამომწვდელი დამოკიდებულობა მოისპო, მოისპო ბ-ნ ზდანოვიჩის წყალობით, რომელმაც 200-მდე ჭიათურელი ქართველი მრეწველი შეკრა ამხანაგობად და ფულიც უშოვა იაფად. ახლა ადვილი სათქმელია „200-მდე იმერელის შეერთება“, მაგრამ ასრულება მეტად ძნელი იყო: ეს თითქმის ორი წელიწადია, ბ-ნმა ზდანოვიჩმა დღე და ღამე გაასწორა და, რავარც იქნა, მიზანს მიაღწია. თუ რამდენად ძნელია ამისთანა საქმის გაკეთება,—ამის მოწმე თვით კვალელებიც უნდა იყვნენ, რადგან იმათ კარგად ეცოდინებათ, თუ რამდენს ეცადა განსვენებული გიორგი წერეთელი ქალის მთის მონაწილეები შეეერთებინა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა.

მაშასადამე, თუ ბ-ნ ზდანოვიჩს კიდევ დარჩა რამე გასაკეთებელი, მაგალითად, გზები, ეს რა გასაკვირია, როცა ყველამ იცის, რომ მთელი დრო და შრომა სინდიკატის საქმეს მოანდომა.

ამის შემდეგ, რაღა გასაკვირველია, რომ უცხოელ ექსპორტერებს ბ-ნი ზდანოვიჩი, რომელმაც მათ ამდენი საპარსავი ცხვარი დაგლიჯა ხელიდგან, საბჭოს თავმჯდომარედკი არა, დასანახავადაც-კი ეზარებათ. – უცხოელები, მოგეხსენებათ, ჭკუიანი ხალხია: იმათ 50-მდე კენჭი აქვთ, იფიქრეს—ჩვენის საკუთარის ძალით კანდიდატს ვერ გავიყვანთ, მოდი, იმისთანა კაცი ვიშოვოთ, თვით ზდანოვიჩის ამხანაგი იყოსო, ისინი ერთმანეთს დაერევიან. ჩვენ-კი ლელოს გავიტანთო, ამისთანა კაციც მალე მონახეს—თ-დი ანდრია ერისთავი, რომელიც ჩვენ საზოგადოებაზე თურმე გულნატკენი ყოფილა: რატომ ახლამდის მარშლად, ქალაქის თავად, ან ქუთაითური ბანკის თავმჯდომარედ არ ამომარჩიეთო.

ამნაირად ცხადია, ჩვენი ანდრია უწინარეს ყოვლისა უცხოელ ექსპორტერების კანდიდატად გამოდის. ასეთი საქციელი ყოვლად ურიგოდ უნდა ჩაითვალოს: ექსპორტერების მიერ ამორჩეულმა ვისი ინტერესი უნდა დაიცვას? უეჭველად—ამომრჩევლებისა, თორემ იმათი და რიგიანობის მოღალატე გამოვა, და თუ იმათი მოსარჩლე იქმნა, მაშინ ხომ ჩვენი ანდრია ჩვენებური მრეწველების და ჩვენი ქვეყნის გამცემი შეიქმნა!

უცხოელ ექსპორტერებს მიემხრნენ კანდიდატის ძებნაში, როგორც ბევრს სხვა რამეში, კვალელებიც. ყურები წაიღეს, წამდაუწუმ, უნდა თუ არ უნდა, იმას ყვიროდენ—წვრილ. მრეწველთ ვეტრფიალებითო და ახლა-კი იმავე მრეწველთა კანდიდატს, ბ. ზდანოვიჩს, წინააღუდგნენ. რათა? იმიტომ რომ კვალელი რაღა „დასელი“ იქნება, თუ ყველა არ დაგმო, ვინც ყოველ იმათ სიტყვას წმიდა მოძღვრებად არ მიიღებს, თუნდ სისულელეც იყოს.

ამგვარად, ექსპორტერებმა, კვალელებმა და ბ-ნ ზდანოვიჩის პირად მტრებმა თავის ფერხულში თავ. ანდრია ერისთავიც ჩაითრიეს და საქმის არევას ფიქრობენ.

ჩვენი ანდრია თურმე იმითი იმართლებს თავს, ვითომც ამომრჩევლები ეუბნებიან: თუ ზდანოვიჩი იქმნა, თვით-მმართველობას მოვსპობთო; ამიტომ მე მხოლოდ საქმის სახსნელად გამოვდივარო.

ეს ისე დასაჯერებელია, როგორც გასათხოვარი ქალის მანჭვა-გრეხა, გათხოვება არ მინდაო. თავ. ანდრია თითქოს ვერც-კი გრძნობს ამ გამართლების სიმარცხვინეს: ვინ ეუბნება—თვითმმართველობას მოვსპობთო, ექსპორტერები? მერე როდემდის და რა ზომამდის უნდა ემსახუროს იმათ გაუმაძღარ მადას? ამისთანა მუქარა ხომ ყოველთვის შესაძლებელია! მერე სირცხვილი არ არის ამისთანა კაცების კანდიდატად გამოსვლა? კვალელები? არა მჯერა, თუმცა ამბობენ, არაფერის შერცხვებათო. ბ. ჩიქვაიძე?..

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, არც ბ-ნ ზდანოვიჩთან, არც თავ ერისთავთან არაფერი დამოკიდებულება, გარდა შორეული ნაცნობობისა, არა გვაქვს რა.

მხოლოდ გულის ტკივილი გვალაპარაკებს, რომ, ჩემის აზრით, თავ. ანდრია მშრალი, წმინდა ადგილიდგან, სადაც ახლამდე იდგა, შიგ შუაგულ ტალახში გადახტა და, რაც უნდა გათეთრდეს, მაინც გასვრილი დარჩება...

სერ. ჯაფარაშვილი.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

23 იანვარი (მეთოთხმეტე სხდომა).

თავმჯდომარემ გამოაცხადა,—ყოველივე, რაიცა შეეხება განმანათლებელ დაწესებულებათა, უნდა გადაეცეს ცალკე კომისიას, რომელიც საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს ამ საგანსა და მომავალ კრებას წარუდგენსო.

ბ-ნი ემერიკი და ექ. ჭიჭინაძე იმ აზრისანი არიან, რომ ჯერ მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა იქმნას განხილული და შემდეგ ვილაპარაკოთ მაგის შესახებაო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. სანამ კომისიას აირჩევდეთ, უნდა გამოარკვიოთ, როგორი სკოლები და სხვა განმანათლებელი დაწესებულებანია უფრო საჭირო; შემდეგ, თუ შეძლება გვექნა, მის განხორციელების შესახებ ვიქონიოთ მსჯელობა.

თავმჯდომარე. ეხლა უნდა შევუდგეთ პროგრამის § 8-ს (შეცვლა ზოგიერთ §§-ისა შავი ქვის მრეწველების კრებათა წესდებისა).

თავ. ი. ნიჟარაძე. ბატონო თავმჯდომარე, ჩემი მოხსენება არ მოგისმენიათ, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უნდა გაგვხილად.

თავ. პ. წულუკიძე. მხოლოდ დღეს დაგვირიგდა „პროექტი წესდებისა კავკასიის შავიქვის მრეწველთა კრების შესახებ“, და საჭიროა ცოტაოდენი გვადროვოთ, რომ წაკითხვა მაინც მოვასწროთ. ან რა საჩქაროა იგი მაინცა და მაინც, როცა ჯერ რამდენიმე მოხსენებაა მოსასმენი.

ბ-ნი ემერიკი. მეტად საჭიროა §-8 ა და დღესვე შეუდგეთ მაგის განხილვას.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ვთხოვთ ბ-ნ ემერიკს აგვიხსნას, რადა ჰსურს დაარღვიოს ის წესი, რომელიც თვით და მთელმა კრებამ მოიწონა და დაადგინა? გადაწყვეტილი გვქონდა, ჯერ მოგვესმინა მოხსენებანი და შემდეგ სხვა საქმეებს შევსდგომოდით.

ბ-ნი გ. ემერიკი. მიტომ, რომ ამ § განხილვა დღეისათვის იყო დანიშნული.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ჩვენ ჯერ ის მოხსენებანი უნდა მოვისმინოთ, რომელნიც გუშინ უნდა წაგვეკითხა, მაგრამ ველარ მოვასწარით, მაგ., თავ. ნიჟარაძისა და სხ.

მცირეოდენ კამათის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ § 8 შემდეგ კრებისათვის გადაედოთ.

ბ-ნმა დ. ბაქრაძემ წარმოადგინა ვრცელი მოხსენება სტიპენდიების განაწილების შესახებ, რომელშიაც დაწვრილებითაა განმარტებული, თუ ვის უნდა მიეცეს სტიპენდია, ან თითო სტიპენდიისათვის რამდენი უნდა იქნას გადადებული. ავტორის აზრით, სტიპენდიის დანიშვნის დროს უპირატესობა საყოველთაოდ ღარიბ მოწაფეებს უნდა მიეცეს, შემდეგ შავი-ქვის მწარმოებელთა შვილებს და სხ.

თავ. პ. წულუკიძე. უპირატესობა უეჭველად მრეწველებს უნდა მიეცეს და შემდეგ ღარიბებსაო.

სტიპენდიის რაოდენობის შესახებ მოხსენებაში ნათქვამია დაბალ სასწავლებელში—200—250 მანეთამდე; საშუალო 250—300 მ. და უმაღლეს (რუსეთში) 400 მ., ხოლო საზღვარ-გარეთ 500 მ.

გარდა ამისა, ცალკე უნდა ეძლიოს კიდევ სასწავლო ფულიო.

ბ-ნი ა. კრინიცკი იმ აზრისაა, რომ სასწავლო ფული სტიპენდიატებს ხელში-კი არ ეძლეოდეთ, არამედ პირდაპირ იმ სასწავლებელში იგზავნებოდეს, რომელშიაც სტიპენდიანტი სწავლობსო.

დიდი კამათი გამოიწვია ჯერ იმან, თვით სტიპენდიანტს მიეცეს ხოლმე სწავლის ფული ხელში, თუ პირდაპირ სასწავლებელში იგზავნებოდესო და, მერმე როდის დაენიშნოს მოსწავლეს სტიპენდია, როცა უკვე შევა სასწავლებელში, ე. ი. სექტემბერში, თუ სწავლის დასრულებისათანავე, ე. ი. მაისის დამლევიგანაო. ზოგი იმ აზრს ადგა, თუ მოწაფეს მაისშივე დაენიშნა სტიპენდია, სასწავლო ფულს ნუღარ მივსცემთო; ზოგი-კი იმას ამბობდა, ამ სამ თვეში აღებული ფული სამგზავროდ დასჭირდებაო და სხ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. რაოდენობა სტიპენდიისა უეჭველად კრებამ უნდა გადასწყვიტოს, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, კერძო კომისიას მიენდობა ეს საქმე, თუ საბჭოს. აქ არა ერთხელ გამოითქვა ის აზრი, რომ საბჭოს სასტიკი ინსტრუქცია მიეცესო, ეხლა-კი იმის ნებაზე აგდებთ, გინდ 250 მ. მიეცით სტიპენდიანტს გინდ 300-იო. კრებამ გადაჭრით უნდა უთხრას კომისიას, გინდ საბჭოს, ამა და ამგვარ მოწაფეს ამდენი და ამდენი მიეცეს სტიპენდიათაო. გარდა ამისა, ჩვენ ისეთი შემთხვევა გვქონდა, რომელიც არაა ბ-ნ ბაქრაძის მოხსენებაში აღნიშნული. დომბროვის ტეხნიკურ სასწავლებელში ორი მოწაფე იზრდება მრეწველთა ხარჯით, თითოს ეძლეოდა აქამდე 360 მ. ამას წინად გავიგეთ, რომ იმ სასწავლებელთან ინტერნატი დაარსებულა, და თითო მოწაფეს 150 მანეთს ახდევინებენ თურმე; ჩვენ ვითხოვეთ, რომ ჩვენი სტიპენდიატები ინტერნებად ჩარიცხონ; აი, ამგვარი შემთხვევა სრულიად არაა მოხსენებული. ვინ იცის, იქნება ზოგმა არ მოიწონოს ჩვენი განკარგულება. ამისათვის ყოველივე დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული ინსტრუქციაში.

ბ-ნი კ. ბაქრაძე. მივანდოთ ბ-ნ დ. ბაქრაძეს და მის კომისიას, რომ გადაჭრით აღნიშნონ სტიპენდიის რაოდენობა (სწავლის ფულიც შიგ უნდა მოჰყვეს).

თავ. ს. დ. წერეთელი. უეჭველია უმჯობესია, რომ კრებამ ეხლავ გადასწყვიტოს სტიპენდიის რაოდენობა, თორემ მეტად საძნელო და სახიფათოა საბჭოსათვის ეს საქმე.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ზოგი, და მგონივ უმეტესობაც იმ აზრისაა, რომ რუსეთის საშუალო სასწავლებელში მოსწავლე სტიპენდიატს 250 მანეთი დაენიშნოს; მაგრამ ეს ხომ გაუქმებაა მესამე კრების დადგენილებისა, რომელზედაც ამგვარ მოწაფეებს 360 მანეთი ეძლევათ. ეხლა რა ვუყოთ იმ მოწაფეებს, რომელთაც უკვე ეძლევათ სტიპენდია, როგორ მდგომარეობაში ვაყენებთ მათ?

ხმები: იმათ არ შეეხება ეს გარდაწყვეტილება; მხოლოდ მომავალ სტიპენდიანტებს.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, როგორც შავი-ქვის მრეწველთა ერთის ნაწილის აზრის გამომთქმელს.

რედ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ყოველი დადგენილება ცხადად და გარკვევით უნდა იქმნას აღნიშნული, თორემ გარდაწყვეტილებად არ ჩაითვლება წინადადება კრების რომელისამე წევრისა. კიდეც მოხდა ასეთი მაგალითი ამ კრებაზედ; სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ბ. შუტცმა, როცა მიმტკიცებდა,—საბჭოს არა ჰქონდა უფლება ჭიათურაში ელექტრონის განათების მოწყობისაო, საბუთად მოიყვანა მესამე კრების შრომაში შეტანილი ვიღასიც წინადადება, რომელსაც ჩვენთვის, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ამგვარი შემთხვევა ხშირია. როგორ უნდა მოიქცეს საბჭო, სად შეუძლია ასეთ გამოურკვეველ დადგენილებათა გარჩევა? კიდევა გთხოვთ, ყოველივე გარკვევით აღნიშნოთ და ისე გადასცეთ ხოლმე საბჭოს.

მდივანმა წაიკითხა კრების დადგენილება: უპირატესობა სტიპენდიის მიცემის დროს ეძლევა შავი-ქვის მრეწველთა, მადნის პატრონთა და შავი-ქვის მოსამსახურეთა შვილებსა და ახლო ნათესავებს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. რაოდენობა სტიპენდიისა?

ბ-ნი გ. ემერიკი. წინადადებით კრებამ დაადგინა მხოლოდ maximum-ი სტიპენდიებისა და გადაეცა საბჭოს.

არჩეულ იქმნა კომისიაც: თავ. პ. წულუკიძე, გ. ცერცვაძე, მღ. მჭედლიძე, ს. ბ. ლოლობერიძე და ბ. მოსეშვილი.

შემდეგ ამისა, თავ. ი. ნიჟარაძემ წაიკითხა მოხსენება შავი-ქვის მუშათა დაზღვევის შესახებ.

როგორც მოხსენებიდგანა სჩანს, მეორე წელიწადია, რაც მუშების დაზღვევა ხდებოდა „როსსიას" საზოგადოებაში, მაგრამ ამ დაზღვევას ვერ გაუმართლებია მრეწველთა მოლოდინი; მაგალითად 28 შემთხვევაში, მხოლოდ 7-სათვის აღმოუჩენიათ შემწეობა, მხოლოდ მეტად მცირე და მეტად გვიან. გარდა ამისა, ავტორმა დაასახელა რამდენიმე მაგალითი, რომელიც ცხად ჰყოფს, რომ ზემოხსენებული საზოგადოება ხანდახან პირდაპირ უკანონობას სჩადის; მაგ. ერთი მუშა მაღაროში მდგარა, ჩამოზვავებულა თალი და საშინლად დაუმახინჯებია საბრალო მუშა. გამოძიების შემდეგ „როსსიას" საზოგადოებას დაუდგენია, არ მიეცეს შემწეობა ზემოხსენებულ მუშას, რადგან იგი მუშაობის დროს-კი არ დაშავდა, არამედ მაშინ, როცა უსაქმოდ იდგაო. ერთი სიტყვით, მომხსენებლის აზრით, ყოვლად შეუწყნარებელია ამ საზოგადოების საქციელი. ამ ორი წლის განმავლობაში მრეწველთაგან 12,000 მან. წაუღია, აქეთ კი ხეიბარ და დახოცილ მუშებისათვის 1,600 მან. მიუცია.

თავ. ი. ნიჟარაძის აზრით აუცილებლად საჭიროა, თავი დაანებონ ამ საზოგადოებას და საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება შეადგინონ. მომხსენებელი ტაშით დააჯილდოვეს.

მცირეოდენ კამათის შემდეგ გადასწყდა, რომ ეს მოხსენება კერძო კომისიას გადაეცეს შესამუშავებლად.

ბ-ნი ს. ქვარიანი. § 7-ში ჩამოთვლილია, თუ ვისა და ვის აქვს კრებებზედ დასწრების ნება, მაგრამ არ არიან მოხსენებულნი ჩალვადართა და მადნის მუშათა წარმომადგენლები. ჩემის აზრით, საჭიროა, რომ იმათაც მიიღონ მონაწილეობა, ხომ იმათაც შეეხება ეს საქმე. ამის შესახებ მესამე კრებაზედაც იყო აღძრული კითხვა.

მცირეოდენ კამათის შემდეგ უარ-ყოფილ იქმნა ეს წინადადება.

§ 8 შეეხება კრების წესს: სხვათა შორის ნათქვამია, რომ კრების მდივანმა რედაქტორობაც უნდა გაუწიოს კრების ანგარიშებს და ისე უნდა დაიბეჭდოსო.

ბ-ნი ემერიკი. ამ §-დგან უსათუოდ უნდა გამოვტოვოთ სიტყვა „რედაქტორობა" და უნდა ჩავუმატოთ, რომ ანგარიშების გამოცემა განსაკუთრებულ კომისიას დაევალოს. ეს მიტომაა საჭირო, რომ იგი ცალმხრივი არ გამოდგეს; ეს ხშირად ჰხდება ხოლმე, მაგ., მე-III კრების შრომა მეტად მიდგომითაა გამოცემული.

ბ-ნი ფ. კიკნაძე. კრების წეს-რიგის შესახებ ის უნდა მოგახსენოთ, რომ აუცილებლად საჭიროა მდივნის გარდა, სტენოგრაფის მოწვევაც, რომ ყოველივე დაწვრილებით აღინიშნოს. კიდევ კარგი, რომ ჩვენდა ბედად ასეთი საუცხოვო მდივანი შეგვხდა წელს, თორემ ბევრი რამ საყურადღებო არ მოჰყვებოდა ოქმში ამასთანავე სტენოგრაფის მოწვევა მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთი ენაჭარტალა ორატორი მეტის სიფრთხილით იქნება და უთავბოლოო ლაპარაკით აღარავის მოაბეზრებს თავს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ბ-ნი ემერიკი მუდამ იკბინება, მუდამ შხამს ანთხევს, არ ვიცი, მხოლოდ რისთვის? ერთი მიბრძანეთ, სად მომხდარა, რომ რომელისამე კრების შრომის სარედაქტოროდ კერძო კომისია აერჩიოს ვისმე. ყველგან მიღებულია, რომ მდივანმა (და თუ სტენოგრაფიცაა—იმანაც) გაუწიოს რედაქტორობა კრების შრომას.

ბ-ნი ემერიკი ბრძანებს,—მე-III კრების ანგარიში მიდგომითაა შედგენილი და გამოცემულიო, ე. ი., სხვანაირად რომ ვსთქვათ,—შეცვლილი და დამახინჯებულიაო. მაგრამ იმ ოქმებზედ ხომ ხელი უწერია თვით კრების თავმჯდომარეს, კრების წევრებს და სხ. როგორ-ღა შეიძლებოდა რისამე შეცვლა, ან გადასხვაფერება?

§ 9-ში ნათქვამია, რომ კრების ყოველ წევრს ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს კამათში, ან წერილობით განაცხადოს თავისი აზრი, რომელიც, შემდეგ წაკითხვისა კრებაზე, სხვა ანგარიშებთან ერთად დაიბეჭდებაო. ბ-ნ ოჰანეზოვის წინადადებით ჩამატებულ იქმნა „შემდეგ წაკითხვისა და მოწონებისა", რადგან ტყუილა დროსა და ხარჯის დაკარგვა იქნებოდა, რომ დაწუნებული და უვარგისი მოხსენება—განცხადებანიც დავბეჭდოთ.

§ 14-ში (კენჭის ყრის შესახებ) თუ ათმა წევრმა მოითხოვა, შეიძლება, უბრალო ხმის უმეტესობით მაგიერ, დახურული კენჭის ყრა მოხდესო.

ბ-ნი ემერიკი დაჟინებით თხოულობდა სიტყვა „შეიძლება" უნდა შეიცვალოს სიტყვით „უსათუოდ უნდა" მოხდესო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ნეტავ რა მიზეზია, რომ ბ. ემერიკი ასე დაჟინებით თხოულობს დახურულ კენჭის ყრას უფრო საკითხთა შესახებაც-კი?

ბ. გ. ემერიკი. ყოველი საკითხი კენჭით უნდა სწყდებოდეს და არა ყვირილით.

ბ. ზდანოვიჩი. რა ყვირილის შესახებ ბრძანებს ბ. ემერიკი?

თავ. ი. აბაშიძე. (აღელვებით) გთხოვთ, ბ. თავმჯდომარე, ნებას ნურავის აძლევთ ასეთ უდიერ და ხეპრე ლაპარაკისას. რა გადაგვიწყვეტია ჩვენ ყვირილით, რომ ასე მოუფიქრებლად წამოისროლა ეს სიტყვა ბ-ნ ემერიკმა.

ბ-ნი მოსეშვილი. კარგად გვესმის, რაც აბრაზებს ბ-ნ ემერიკს, მაგრამ რაც უნდა ჰქნას, მაინც ვერ მიაღწევს გულის წადილს.

კრება 4 საათზედ დასრულდა.

ჩვენებური ამბები

ავაზაკობა ზაქათალის ოლქში

(წერილი ზაქათლიდგან)

მკითხველს ეხსომება, რომ შარშან ქიაურის ტყეში (ალაზნის გაღმა მხარეს) ფოსტის გზაზედ ავაზაკებმა დღისის 8 საათზე აფიცერი მოჰკლეს, ჯერ უწვერ-ულვაშო ყმაწვილი კაცი დულკისი, რომელიც ეტლით ლაგოდეხში მიმავლებულა თავის ძმით. ლეკები რამდენიმე კაცი ყოფილა, ყველანი ზაქათლის ოლქიდამ, გარდა ერთისა, დაღისტნელ აბდუსალამისა, რომელიც იჭაურობას თავ-ზარსა სცემდა. ამხანაგები გზის ნაპირას ჩასაფრებულან ტყეში, ეტლს-კი აბდუსალამი გადაეღობა წინ ბერდანკით. ეტლი გაჩერდება. რა უნდაო?—უკითხავს ძმისთვის ახალ-გაზდა აფიცერს; ყაჩაღია და ფულსა თხოულობსო. ამაზე აფიცერს ხელი ჩაუყვია პალტოს ჯიბეში, ვითომც ფულის ამოსაღებად, მაგრამ რევოლვერი ამოუღია: აი ფულიო და დაუხლია ავაზაკისთვის. იმ წამსვე გზის ნაპირიდამ თოფი გავარდნილა, რომელიც აფიცერს გულში მოხვედრია; ცხენები გამფრთხალან, გაუტაცნიათ ეტლი და ოციოდე საჟენს იქით არხში გადაუჩეხნიათ. ეტლს უკანიდგან თოფის სროლა აუტეხეს ავაზაკებმა, მაგრამ მალე შეჩერდნენ, რადგან სხვა მგზავრნი გამოჩნდნენ და დაჭრილ აბდუსალამის წაღებაც საჭირო იყო საჩქაროდ. აფიცერი იმ დღესვე გარდაიცვალა; აბდუსალამი-კი მეორე თუ მესამე დღეს მკვდარი იპოვნეს ჩაფრებმა ტყეში. ამ ბრბოში იყო, სხვათა შორის, ერთი ჭარელიც (ჭარი რამდენიმე სოფელია, სადაც მხოლოდ ლეკური ენა იციან). ეს იყო აფიცრის მკვლელი. წინად ეს ჭარელი მარტო ქურდობას მისდევდა, შემდეგში-კი, როდესაც აბდუსალამის ბრბო შესდგა, ყაჩაღობაც მოიწადინა. რამდენჯერმე მონახა აბდუსალამი, ბევრი ეხვეწა—ამხანაგათ მიმიღეო, მაგრამ ფრთხილი ყაჩაღი უარზე იდგა: ჯერ შენ თვითონ გახდი ავაზაკი და მერე გენდობი და მიგიღებ, ამიტომ ვინმე მოჰკალიო. ასეთი დავალება, რაღა თქმა უნდა, ადვილი ასასრულებელი იყო და ერთს დილას ზაქათლის ახლოს ფოსტის გზაზედ ცხენით მომავალი სომეხი ვაჭარი მოჰკლა აბდუსალამის თვალწინ. ამ კაცის კვლამ მთელი ზაქათალა აატირა, რადგან ხელ-მოკლე ვაჭარს მრავალი წვრილ-შვილი დარჩა.

ამ რამდენისამე თვის წინად ზაქათალაში მიმავლებულა ფოსტის ეტლით ორი ქუთათური ვაჭარი ებრაელი; ჯერ ბელექანში უვაქრიათ უყიდნიათ მრავალი ბეწვეული და ის-კი არ სცოდნიათ, რომ დიდის ფულის გამოჩენა ლეკებთან კარგი არაა. მეორე დღეს დილით ზაქათალისაკენ გამგზავრებულან; გაუვლიათ რამდენიმე ვერსი და უცბად შემდგარან ორის ლეკის ბრძანებით. ჩამოუყვანიათ ლეკებს ფოსტის ეტლიდამ, მიუყვანიათ იქვე ტყის ნაპირთან და ხანჯლებით დაუჩეხნიათ თვალცრემლიანი ვაჭრები, რომლებიც, მეეტლეს თქმით, საცოდავად ბღაოდნენო. ამ ორ ავაზაკში ერთი ის იყო, რომელმაც აფიცერი მოჰკლა ქიაურში; მეორის ვინაობა ვერ გაიგეს, თუმცა პირველზედაც დარწმუნებით არ შეიძლება ითქვას, ვინ იყო. მაინც ამ აფიცრის მკვლელს, რომელმაც აბდუსალამსაც-კი გადააჭარბა სიმხეცით და მეტად შეუწყალებელი იყო ავაზაკობაში, ადგილობრივი მცველები, სტრაჟნიკები, მრავლად დაეძებდნენ აქა-იქ. ბოლოს ესეც შეიპყრეს და აი როგორ: ერთგან ყარაულად მდგარა 5 მცველი, მათში ალექსი ქურდაშვილი, ახალგაზდა ნასალდათევი ქიზიყელი, რომლის საარაკო ვაჟ-კაცობა და გამჭრიახობა მთელს ოლქს ალაპარაკებს. ამას მოსვლია ჯაშუში ლეკი და შეუტყობინებია, რომ ამ ღამეს აფიცრის მკვლელი თვისის ამხანაგებით სოფელში და ამ კაცის სახლში არისო ვახშმადაო. შემსხდარან ხელად ცხენებზედ მცველები და იმ ღამესვე შესულან სოფელში; გაუძღვება ამხანაგებს წინ ქურდაშვილი, შევა ეზოში და ზედ კარზედ მიადგება სახლს, სადაც ყაჩაღი ვახშამს მიირთმევდა. შეაგრიალებს უცბად კარებს და გარედამ შესძახებს თათრულად; ალექსი ვარ და, აბა, ახლა თქვენ იცით: ან დამნებდით და ახლავე იარაღი კარში გადმოყარეთ, ან ყველას ხელათვე დაგხოცავთ; 25 კაცი ვართ სტრაჟნიკები და ოლქის უფროსიც აქაა. ყველამ გადმოჰყარა ბერდენკები და ხანჯლები კარში; არა ნებდება მხოლოდ აფიცრის მკვლელი და ბერდანკით კუნჭულშია მიფარებული. ამ დროს უცბად შეიჭრება სახლში ბრაზ-მორეული ქურდაშვილი და ელვასავით ზედ მივარდება ყაჩაღს. წამის საქმე იყო, თორემ როგორ გადურჩებოდა ეს კაცი თავზედ ხელ-აღებულ ავაზაკს. ხომ ვაჟ-კაცი ხარო, უთქვამს ლეკს თავის დამჭერისათვის, და წინად მიცნობდი კიდეცა და გთხოვ ნუ მცემ და ისე წამიყვანეო. ამ ქურდაშვილს 3—4 წლის განმავლობაში, მცირე შემთხვევანი რომ არ ჩავთვალოთ, რამდენიმე სხვა ავაზაკიც დაუჭერია და რამდენიმეც საიქიოს გაუსტუმრებია, როდესაც საქმე იქამდე მისულა. ქურდაშვილს ვერცხლის მენდალი აქვს. ოქროსაზე წარდგენილია.

ზაქათლის ოლქში ამ უკანასკნელად კაცისკვლა და სხვა ბოროტ-მოქმედება მეტად გახშირდა, თუმცა წინადაც შიშიანობა დიდი იყო. კავკასიის სხვა ოლქებშიაც ხომ ძლიერ ხშირია ამისთანა ამბები, მაგრამ, მართალი უნდა ითქვას. აქაურ ავკაცობას უმეტეს ნაწილად სხვა ელფერი სდევს. სხვაგან სხვა მიზეზებია, აქ-კი სულ სხვა. ყველამ იცის რომ ზაქათლის ოლქში ყაჩაღობა მხოლოდ ჭარელ ლეკობაშია და სხვა სოფლებს ამის ბრალი არ ედებათ. ქურდობა ყველგან ყოფილა და იქნება, ყაჩაღობა-კი მხოლოდ ჭარელ ლეკების ხელობაა. უნდა ნახოს უცხომ ამათი სოფლები, ტყე და სახნავ-სათესი, რომ გაოცდეს ამათის სიმდიდრით. კარ-მიდამო, სახლები, სახლის ავეჯი, ჩაცმა-დახურვა, მრავალი საქონელი,—ყველა ეს თვალსა გტაცებს. ტყეები ნადირითა და ფრინველითაა სავსე, წყლები—საუკეთესო კალმახით, მიწა ძლიერ ღონიერია; ტყეში ხილეულობა უხვადაა. მაშ, რა მიზეზია, რომ მათს სოფელში უშიშრად ვერ გაივლი, ტყეში ვერ შეხვალ, გზაში ჭარელს ხვდები? ვგონებ, სისხლია ასეთი ამ ხალხისა, ასეთის მოდგმისანი არიან ესენი; ასეთები ყოველთვის იყვნენ და აქამდის ასეთებივე რჩებიან.

საქართველოს ისტორიას კარგად და დაწვრილებით ახსოვს მათი თავ-გასულობა. ბევრჯერ მომხდარა, ქართველ მეფეების დროს, რომ უცბად და მოულოდნელად თავს დასხმია ჭარელი ლეკობა (ხშირად ბელაქნელებიც) ქიზიყს, კახეთს და ტფილისსაც-კი (ვახტანგ მეექვსის დროს). სოფლების აკლება, ხოცვა და ტყვედ წაყვანა,— ეს ერთხელ და ორჯელ-კი არ გამოუცდია ქართველობას ჭარელებისაგან. რაც გასულ საუკუნეს ამათ ოინები ჩაუდენიათ, ამბოხებით, ათას-გვარ ყაჩაღობით, მარტო ამის აღწერას მთელი წიგნი მოუნდება.

სწავლა-განათლებას ესენი ყოველთვის ერიდებოდნენ, თუმცა ამ მხრივ მთავრობა დიდად უმართავდა ხელს ჭარელებს: ზაქათლის სამოქალაქო სკოლის პანსიონში მუქთადაც არ შედიოდნენ ლეკები, ან ვინც სწავლობდა მეორე კლასამდინ ვერ რჩებოდა სასწავლებელში და სახლში ბრუნდებოდა უსაქმოდ დროს გასატარებლად. ახლა ზაქათალაში სახელოსნო სასწავლებელია პანსიონით ლეკებისთვის გახსნილი, მაგრამ ლეკობა არც ამას მისდევს. ზაქათლის ოლქს კავკასიის საშუალო სასწავლებლებშიც აქვს თავისი სტიპენდიები და არც ამით სარგებლობენ ჭარელები. სხვა გუბერნიების მაჰმადიანობა დაწყნარდა და თან-და-თან სწავლა-განათლებას ეტანება, უკეთეს მერმისს ნატრობს; მხოლოდ ჭარელები ჩამორჩნენ ყველას და არა რას ნდომობენ. ავაზაკობა, ქურდობა, ყაჩაღობა მუდმივია ზაქათალის ოლქში და ქიზიყიც ძლიერ ზიანობს ჭარელების მეზობლობით; ჭარელებს ერთი სოფელი ალაზნის პირზედაც აქვთ—ტანაჩა.

შარშან ოლქის უფროსმა ბ-ნმა იაზიკოვმა გარდასწყვიტა, ყველა ჭარელისათვის იარაღი აეყარა. საამისოდ ჯარი იყო საჭირო; აქაურ „კამანდას" ზაქათალას ვერ მოაშორებდა; სთხოვა მთავარ-მართებელს სხვა საშველ ჯარის გამოგზავნა. მოვიდა ჯარში ორი როტა პოლკოვნიკ გაბაშვილის „სტრელკოვი" ბატალიონისა მუსიკით და ბატალიონის უფროსითა, ეს ორი როტა ზაქათალის სტრაჟნიკები, ყველანი საბრძოლველათ დამზადებულები, ერთს დღეს მიადგნენ სოფ. ტანაჩას ოლქის უფროსის წინამძღოლობით, რომელმაც ხელად მთელი სოფელი დაიბარა და გამოუცხადა: ყველას იარაღი უნდა წაგართვათ ჭ ახლა, თუ გინდათ, თქვენის ნებითვე გამოიტანეთ აქ, ან არა და აი ჯარი მზათაა. სოფელი დათანხმდა და ზოგი რამ გამოიტანა,—ამის მეტი არა გვაქვს-რაო. შემდეგ ქურდაშვილი დატრიალებულა სტრაჟნიკებით ეზო-ეზო და რამდენსამე საათში რამდენიმე ურემი გაუვსია ბერდანკებით, რევოლვერებით და ხანჯლებითა.

მაგრამ რას გააწყობს სარისტიანი ოლქის უფროსი და თავ-გამოდებული სტრაჟნიკები?! იარაღის შოვნა ყოველთვის ადვილია და ხალხის ზნე ისევ ისაა. ბევრ მცოდნე კაცისაგან გამიგონია, რომ ერთად-ერთი წამალი ამ სოფლების აყრაა და სხვა გუბერნიებში ნაწილ-ნაწილ გარდასახლებაო; თუ მათ მიწა-წყალზე ქართველები გადმოასახლეს, მაშინ მათის და ადგილობრივ ინგილოების წყალობით ზაქათალის ოლქში მშვიდობიანობა სამუდამოდ დამყარდება. თუ ახალ-ქალაქის დუხობორები თავის მიწა-წყალს მოშორდნენ, ეს ლეკები რაღად უნდა იყვნენ ხელ-შეუხებელნიო?..

მთელი ზაქათლის ოლქი ერთს დროს ქართველობით იყო დასახლებული; ცალკე საეპისკოპოც იყო აქ; ძველ დროის ქართული ეკკლესიები აქ მრავლადაა. ქართველთ ცხოვრება აქ მაშინ სდუღდა და გადმოდიოდა. შემდეგ მოვიდნენ დაღისტნიდგან ჭარელი ლეკები, აღმოსავლეთით-კი—თათრები მრავალ ასი-ათასობით; ქართველები დამარცხდნენ; მათში უმეტესობა ამოწყდა, ზოგი ქიზიყში გაიხიზნა და რამდენმამე სოფელმაც მაჰმადიანობა მიიღო (ინგილოები), შემდეგ, რუსების მოსვლის უკან ისევ გაქრისტიანდნენ.

მაშ, ისტორიულადაც ეს ჭარელების მიწა-წყალი ქართველობისაა; და თუ ჭარელების აყრა და გარდასახლება მოხდა, მცოდნე კაცთა აზრით, მათს ადგილას მხოლოდ ქართველების დაბინავება ყოვლად სამართლიანი საქმე იქნება.

ძველი ზაქათლელი.

—

ბათუმი. 23-ს ამა თვეს, როგორც გაცნობეთ, აქ ცეცხლი გაჩნდა.

შესაზარ სურათს წარმოადგენდა გაძლიერებული ცეცხლი: აუარებელი ხე-ტყის მასალა, სანავთე თუნუქების ყუთებისათვის დამზადებული, ალით იყო მოცული, ნავთიანი თუნუქების საწყობ შენობიდან ისეთი შავი კვამლი ამოდიოდა, რომ ასი საჟენის სიშორეზე კაცს გულს უწუხებდა მისი მყრალი სუნი. იმავე მანთაშევის ნავთის ორ აუზს განსაცდელი მოელოდა და აგრეთვე მეზობელ ზავოდებს და სხვა შენობათაც ცეცხლის მქრობელი რაზმები თავგადადებული ებრძოდნენ გაძლიერებულს სტიქიონს. საღამოს 7 საათზე, ველარ გაუძლო-რა ცეცხლის სიძლიერეს, ერთი აუზი გასქდა, რომელშიაც 60,000 ფუთი ნავთი იყო. ბათუმი მთელი ღამე განათებული იყო ცეცხლის ალით.

ცეცხლის მქრობელ რაზმების და ზავოდის მუშათა თავგანწირული მოქმედების წყალობით უვნებლად გადარჩა მანთაშევის ერთი აუზი, რომელშიაც 240 ათასი ფუთი ნავთია, სიდერიდის და წოვიანოვის ნავთის ზავოდები, ქალაქის ფარდულები და კერძო კაცთა მახლობელი სახლები.

მანთაშევის ზარალი 800,000 მანეთამდის იქნება, ხოლო „როსსიისა" და „ს.-პეტერბურგის" საზოგადოებათა ზარალი, საცა ზავოდი იყო დაზღვეული, 300 ათას მანეთამდის მიაღწევს.

დაზიანდა აგრეთვე ბ-ნ პასეკის ქარხანა, რომელსაც 6 ათას მანეთამდე ზარალი მიეცა და რომელიც არსად არ ყოფილა დაზღვეული.

—

აქაური ქართული სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოს, 14 იანვარს, შემოუვიდა: შესასვლელი ბილეთების ფასი 1300 მან., ბუფეტისაგან—691 მ. 70 კ., ქეტონების გაყიდვით—500 მ., სხვა-და-სხვა ნივთების გაყიდვით—145 მ., შემოწირულებანი—675 მ. სულ 3311 მ. 70 კ.; დაიხარჯა: ქეტონების სასყიდლათ—345 მან., ბუფეტის მოწყობა - 419 მ. 60 კ., ბაზრისათვის ნივთები—75 მ., მომღერლებზე—96 მ , მუსიკა 80 მან., სასტუმრო დარბაზის მოწყობა—105 მ., ბილეთებისათვის მარკები—70 მ., დეპეშები, აფიშები, წერილები და სხ.—115 მ. სულ 1305 60 კ.; წმინდა შემოსავალი დარჩა (3311 მ. 70 კ.—1305 მ. 60 კ.) 2006 მან. 10 კაპ. ეს ანგარიში არის დაახლოებითი, ხოლო დაწვრილებითი ანგარიში ამ დღეებში გამოცხადდება საღამოს დიასახლისის ქნ. ანდრონიკაშვილისა და სკოლის გამგე კომიტეტის მიერ.

ლ. ლევანიძე.

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის სამინისტრო კრიტიკულ მდგომარეობაშია. კომბის სიტყვამ დიდი ალიაქოთი და მითქმა-მოთქმა გამოწვია. რესპუბლიკელთა დიდი უმრავლესობა ისე აღელვებულია, რომ სამინისტროს გადადგომით ემუქრება. რადიკალები ყოველ დღე მართავენ კრებას და არკვევენ მინისტრ-პრეზიდენტის მოქმედებას. ისინი ამბობენ: კომბის რომ განემარტა თავის ნათქვამი, იქნება, დასები ცოტა დამშვიდებულიყვნენო. ერთმა გარემოებამ მაინც მოარბილა რესპუბლიკელნი.

კონგრეგაციათა კომისიის ბიუროში დეპუტატმა გალსონიმ კონგრეგაციების დაცვის დროს კომბის სიტყვებიც მოიყვანა. კომბმა შენიშნა გალსინეს: ნუ ამახინჯებთ ჩემს სიტყვას: მე მუდამ მტერი ვიყავი კლერიკალურის განათლებისა და მუდამ მტერი ვიქნებიო; მაგრამ ქრისტეს ზნეობრივი პრინციპების წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვიქნებიო. დოგმატების არაფერი არა მწამს-რა, ამისათვის არასოდეს არ გავხდები თანახმა, რომ აღზრდისა და განათლების საქმეს დოგმატები დაედვას საფუძვლად. ზნეობრივი ქრისტიანული იდეალები-კი არაფრით არ შეიძლება შეიცვალოს, ამიტომ მსურს რომ ეს იდეალები დაცულ იქმნასო.

ლოკრუა გაზეთ „რადიკალში" სასტიკად ჰკიცხავს კომბის მიერ წარმოთქმულს სიტყვას. მან სთქვა: „პრინციპიალური უთანხმოება აშკარად ეხება რესპუბლიკის ინტერესებს: „მთავრობის წარმომადგენელმა ნათლად და აშკარად გამოსთქვა თავისი აზრი,ასევე ნათლად და აშკარად უნდა წარმოსთქვას უმრავლესობამ თავისი აზრი, საქმის გადადება და გაგრძელება მავნებელი იქნება".

კომბის დამცველად გამოვიდა სოციალისტი ჟორესი. ის იცავს კომბს რადიკალ-სოციალისტების გაკიცხვისაგან. მან ვრცელი წერილი გამოაქვეყნა „Pet. Répudl."-ში. ჟორესი განსაცდელს ჰხედავს არა იმაში, რომ სამინისტრო შეირჩენს თავის ადგილს, არამედ მის გადაყენებაში.

საკვირველია, სოციალისტი ბურჟუაზიული სამინისტროს გაუქმებაში ხედავდეს საშიშროებასა და განსაცდელს. ჟორესი ეკითხება ლოკრუას და სხვა რადიკალ-სოციალისტებს: სად გინდათ წაგვიყვანოთ? რა მოუმზადეთ საფრანგეთს? ვინ გყავთ საზოგადო მოღვაწენი? სად ნახავთ ისეთს ბელადებს და მოღვაწეთ, როგორნიც არიან დღევანდელი სამინისტროს წევრები? სადაა ამათსავით გულახდილი (ბურჟუა გულახდილი?) კაცები, რომლებსაც თქვენ ასე სდევნით და ლანძღავთო".

„მართალია, ჩვენ, სოციალისტებს, ბევრი საწინააღმდეგო გვაქვს კომბის წინაშე, ჩვენი იდეალი გაცილებით (რისთვის გაცილებით და არა სულ სხვა?) მეტია, ვინემ კომბისა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ღვაწლი და სამსახური, რაიც მან საფრანგეთს გაუწია. ამიტომაა, რომ ჩვენ არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობთ იმ ინტრიგებში, რომელიც მინისტრთა პრეზიდენტის წინააღმდეგაა მიმართული". ვაშა ჟორეს, რომ მთავრობის საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ!

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„მსხვერპლი უხასიათობისა", დრ. 4 მოქ. გადმოქართულებული ან. ჩეხოვის პიესიდგან მ. ნასიძის მიერ.

„მსხვერპლი უხასიათობის", რომელიც გვირას წარმოადგინეს, კარგად არის გადმოკეთებული ქართულად. პიესა მშვენივრად ჰხატავს ჩვენის ქვე-

ნის სხვა-და-სხვა გმირებს. ყველა ტიპები ზედმიწევნით არიან დახასიათებულნი და ყოველის მათგანის სულიერი მდგომარეობა გამოაშკარავებულია პიესაში. შეიძლება, რუსულად უფრო კარგი იყოს ეს პიესა (რუსულად არ წაგვიკითხავს), მაგრამ იმ თვალით რომ შევხედოთ, თუ რამდენად ჰხატავს ჩვენს ცხოვრებას, კარგია. პიესაზედ სიტყვას აღარ ვაგრძელებ, რადგან იგი წინადაც წარმოუდგენიათ.

თამაშობაზედ გადაჭრით ვერ ითქმის, კარგი იყო, თუ ცუდი, რადგან ყოველი მსახიობი ერთს ადგილას რომ კარგი იყო, მეორე ადგილას ძალიან მოისუსტებდა.

ვ. გუნიას (ნიკო) თამაშობას აკლდა სიძლიერე. მისი თამაშობა სწორე იყო, მაგრამ მაყურებელს იმდენად არ სწვდებოდა გულში, რამდენადაც სასურველი იყო.

ბ. გედევანოვი პირწავარდნილი მათე დეონიძე იყო, რომელიც ცოტა მჩატე კაცია და ფულიან ქალის შერთვას აპირებს სიბერის დროს.

ვ. აბაშიძე (მიხეილ მახარობლიძე), ვ. გამრეკელიძე (პავლე ჯივჯავაძე) და ჟ. ჩერქეზიშვილი (ზენობიერი) სრული განხორციელებანი იყვნენ იმ ტიპებისა, რომლებსაც ადგენდნენ

ს. სვიმონიძე ექიმის როლში ზომიერი იყო, მაგრამ რად ჰქონდა ავაზაკის გრიმი, როცა ის ყოვლად პატიოსან და გულსათნო კაცს ადგენდა, —ეს ვერ გავიგეთ.

ქ-ნ ო. ლეჟავაზედ, რომელიც ანიკოს, ებრაელის ქალის როლს თამაშობდა, უფრო ვრცლად მოვილაპარაკებ.

ანიკო სუსტის აგებულობის ქალია, იგი განხორციელებაა სინარნარისა და სილინჯისა. ამ ქალს საკმაოდ აქვს გრძნობა განვითარებული. ჯერ იგი ახალგაზრდაა, მის გულს მოსდებია სიყვარულის ალი, რომელიც ანდამატივით იზიდავს ნიკოსაკენ, უკანასკნელი-კი მას ერიდება. ახლა გავყვეთ მსახიობ ქალს ფეხ-და-ფეხ.

პირველ მოქმედებაში, გამოსვლისთანავე, მსახიობ ქალს ცხადად ეტყობოდა, რომ ავად იყო. ნიკოსადმი სიყვარული-კი, რომელსაც გამოჰყავს სახლიდგან ანიკო, მსახიობმა ქალმა სრულებით არ დაგვანახვა...

ამავ მოქმედებაში შესანიშნავია ის მომენტი, როდესაც ნიკო სასეირნოდ წასვლას აპირობს, ანიკო-კი სთხოვს, დარჩი სახლში, მარტო ნუ დამტოვებო. ნიკო არ უგონებს და აპირებს წასვლას. ანიკო აღარ სთხოვს დარჩიო, იგი პირდაპირ ეუბნება, წადიო. ამ მომენტამდე (მანამ ნიკო განაცხადებდა, სასეირნოდ მივდივარო) მსახიობი-ქალი თავისს სიტყვებს შესაფერს ძალას აძლევდა; სახეც, როგორც საჭირო იყო, მოწყენილი ჰქონდა, მხოლოდ ეს მოწყენილობა შედეგი იყო ავადმყოფობისა და არა იმისი, რომ, ვითომ ვისმეს უწყრებოდა. მსახიობმა-ქალმა ნიკოს მიჰმართა უფრო ბრძანების კილოთი, ამასთანავე, უმადურად, უკმეხად და ამით შეცდომაც მოუვიდა, რადგან ანიკო გაჯავრებით-კი არ ეუბნება, სასეირნოდ ნუ მიდიხარო, არამედ ხვეწნით, მუდარით. ანიკოს გაგიჟებით უყვარს ნიკო და ამიტომ უნდა ნიკო სახლში დარჩეს.... უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ ამ დროს მსახიობმა-ქალმა ჩვეულებრივი სინარნარეც დაჰკარგა და მისი სილინჯეც გაჰქრა.... მსახიობმა-ქალმა ამავ ბრძანების და გაჯავრების კილოთი უთხრა ნიკოს, რახან არ გინდა დარჩენა, წადიო, და აქ იგივე შეცდომა განიმეორა. გაჯავრებით-კი არ ეუბნება ანიკო ამ სიტყვებს ნიკოს, არა, ეს მოსდის იმით, რომ გაგიჟებით უყვარს ნიკო და არ უნდა მის სურვილს წინააღუდგეს . . . . მსახიობ-ქალს ისტერიული ტირილი ბუნებრივად არ მოუვიდა.. . გონს მოსვლის მომენტიდგან სკამზედ დაჯდომამდე მსახიობ ქალის მოძრაობა და ლაპარაკი მკრთალი იყო. . სკამზედ დაჯდომისას მსახიობ-ქალი უფრო გამოირკვა. მან დაიბრუნა ჩვეულებრივი სინარნარე და სილინჯე, მხოლოდ არსად სჩანდა იმ სიყვარულის ნაპერწკალიც-კი, რომელსაც მთლად მოუცავს მისი არსება. ნიკოსადმი სიყვარულს ისე მოუჯადოებია ანიკო, რომ შემთხვევას ეძებს ლაპარაკი ნიკოზედ ჩამოაგდოს.

კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ, ანიკო სიტყვას ჩამოაგდებს ექიმთან ნიკოზედ, რომელსაც ექიმი აძაგებს. ანიკო ეუბნება ექიმს: არა, ექიმო, თქვენ არ იცით. ნეტავ იცოდეთ, ოთხის წლის წინად რა კარგი იყო ნიკო.... აქ ო. ლეჟავა ისეთი იყო, როგორიც უნდა. მაყურებელს თვალწინ ედგა ავადმყოფი, ნარნარი, ლინჯი ქალი, რომელიც გატაცებით ლაპარაკობდა ნიკოზედ, თითქმის თავდავიწყებას მისცემოდა. ამ დროს მსახიობ ქალს სახე უბრწყინავდა, თითქოს აფრენას აპირებდა, თითქოს უნდოდა დაებრუნებინა ის განვლილი ოთხი წელი; ამ ადგილს ძნელია, სილინჯეც დაიცვას ადამიანმა და გატაცებითაც ილაპარაკოს სიყვარულზე, მაგრამ ო. ლეჟავამ აქ სიძნელესა სძლია... მაყურებელი შეატყობდა, რომ ანიკო ლინჯი ქალი იყო, მაგრამ გრძნობას გაეტაცნა.. ..

გავიდა ეს მომენტი... ანიკო ცოტად დასცხრა, სიყვარულის ალი რომ ღვივის მის გულში, ეს სჩანს... სამწუხაროდ ეს აღარ გვაჩვენა ო. ლეჟავამ, რომელიც ამ დროს გულგრილად დარჩა და გულგრილადვე ჩაატარა ეს მოქმედება ფარდის დაშვებამდე.

მეორე მოქმედებაში ო. ლეჟავას თამაშობა ზომიერი იყო, ხოლო მესამე მოქმედებაში მთლად დინჯს გადააჭარბა. რთულია ამ დროს ანიკოს სულიერი მდგომარეობა; მან თავის ქმარს მოასწრო წინა მოქმედებაში, რომ სხვა ქალს გადაჰხვევოდა... მესამე მოქმედებაში ანიკო შემოდის ერთი ორად დასუსტებული, უფრო განარნარანებული. ხველაც კი არ შეუძლია თავისუფლად: როცა ახველებს, თითქოს გულიც თან ამოსდევს. ქალი თვალს უსწორებს ნიკოს, ნიკო-კი ერიდება და იშორებს თავიდგან. სწორედ ამნაირად გამოვიდა ო. ლეჟავაც და ადამიანი ვერც-კი წარმოიდგენდა, თუ ეს სცენაზე ხდებოდა და არა ცხოვრებაში. მსახიობ ქალს სახე ჰქონდა მეტის მეტ-დ მწუხარე და, რასაც ენით ვერ ამბობდა, სახეს ათქმევინებდა... ასეთი თამაში მსახიობ ქალს შერჩა იმ დრომდე, ვიდრე ნიკო ეტყოდა „ურიის გომბიოვო... ექიმმა მითხრა, ჩქარა მოკვდებიო“... მსახიობ ქალმა ამ სიტყვის დროს ზიზღით გადაჰხედა ნიკოს, მაგრამ ეს გადახედვა არ იყო მკაცრი და დამცინავი.... ცუდად მოუვიდა მსახიობ ქალს გულის შეწუხება..

დანარჩენი მოთამაშენი ხან მწვადს სწვავდნენ და ხან შამფურს.

ამ პიესის შემდეგ წარმოადგინეს რუსულიდგან გადმოკეთებული ი. ივანიძის მიერ ხუმრობა „სულ ამ ცხვირის ბრალია“, რომლის ადგილიც სცენა-კი არა, ნაგვის გოდორია.

ა—ნა.

„ივერიის“ ფოსტა:

ხონი. მ—ეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

ო—სა. ბ—ნს ს. ა—ს. თქვენი წერილი „ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ“ არ დაიბეჭდება.

თ—ლი. ბ—ნს ხ—ს. თქვენი კორესპოდენცია სოფლის სასაფლაოს შესახებ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(შემთხვევითის კორესპონდენტისაგან)

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 იანვარი.

სოფია. ღამით უეცრად გარდაიცვალა კარაველოვი.

ლონდონი. ადვოკატებმა ლაშენელმა და ზეიზემ ამნაირი დეპეშა გაუგზავნეს მეფის მოხელეს: „პრინცესა ლუიზას, რომელმაც ურთიერთობა მოსპო ჟირონთან, თავის ავადმყოფის შვილის ქრისტიანის ნახვა ჰსურს. გთხოვთ კრონპრინცთან იშუამდგომლოთ, რომ დედას თავისი ავადმყოფი ბავშვი აჩვენოს. შვილის ნახვის შემდეგ პრინცესა წამოვა დრეზდენიდგან.

სოფია. საერო კრებაში დეპუტატი სტრაშიმიროვი დეკითხა მთავრობას, საჭიროდ არ მიგაჩნიათ, რომ მაკედონიის კომიტეტი ეხლავე დაჰშალოთო, რადგან ეს კომიტეტი აჯანყებას ამზადებს მეზობელ სახელმწიფოში და ბოლგარიასაც სახელს უტეხსო. დანევმა უპასუხა, მთავრობა ღონისძიებას მიიღებს და, თუ საქმის გარემოება მოითხოვს, მთავრობაც დაჰშლის კომიტეტსაო. დანევმა დაუმატა: სახელმწიფო ინტერესების გამოისობით არ შემიძლიან ეხლავე გადაჭრილი პასუხი მოგცეთო.

ფილიპპოპოლი. მაკედონელი აგიტატორები ხალხში იმალებიან, ოსმალეთის მოხელეების წინააღმდეგ აქეზებენ მაკედონელებს და ხან ფარულად, ხან აშკარად, ოსმალეთის რაზმებსაც დაეცემიან ხოლმე.

პერმი. საგუბერნიო კომიტეტმა დაასრულა თავისი შრომა სასოფლო მეურნეობის საჭიროების შესახებ. კომიტეტმა შემდეგი ღონისძიებანი სცნო საჭიროდ: გლეხკაცების როზგით დასჯა მოისპოს, პირველ-დაწყებით სკოლის პროგრამა გაფართოვდეს, სასურველია, მოეწყოს პირუტყვისა და ნათესების დაზღვევა სეტყვისა და სხვა სტიქიონურ უბედურობისაგან, ერობას უფრო ფართო უფლება მიეცეს და ადგილობრივ მეურნეობისათვის სავალდებულო დადგენილებანი გამოიცეს.

მოსკოვი. საქალაქო საკრედიტო საზოგადოების დირექტორად ნამყოფები, შალდ-ბახი და მერიკე, რომლებსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდებოდათ, გაამართლეს.

სტამბოლი. ბიტოლის გუბერნატორი იუწყება: დავიდოვის ბოლგარელი რაზმი სოფელ არმენიკასთან ფლორინას ახლო გაჩნდაო.

კარაკასი. მატოსის პირველი ოფიცერი მენდოზა გაიქცა მატოსის დამარცხების შემდეგ. ამ ამბავს იმის მომასწავებელ ნიშნად სთვლიან, რომ მატოსის აჯანყება მალე გათავდებაო.

ტანჟერი. ტახტის მაძიებელი რაისის ტომის ხელშია ტყვედ. სულთანს შეუთვალეს, ფულით დაგვახსნევინებთო. სამხედრო მინისტრი ამ საქმის თაობაზე მოლაპარაკებას გაჰმართავს. ჰფიქრობენ, ტახტის მაძიებელს ტყვედ მოიყვანენ ფეზში.

ბლუმფონტეინი. დევეტს და 4 სხვა ბურს, რომლებიც უკიდურეს ჰოლანდიელ პარტიას ეკუთვნიან, ლაპარაკი ჰქონდათ ჩემბერლენთან. დიდი შფოთი მოუხდათ. დევეტი ბრალსა სდებდა მთავრობას, შეკრულ ზავის პირობა დაარღვიაო. ჩემბერლენმა უარი სთქვა მირთმეულ ადრესზე და უსაყვედურა იმ დელეგატებს, რომლებსაც ადრესის ჩაბარება ჰქონდათ მინდობილი, რომ ინგლისის მთავრობისადმი და თითონ ჩემდამი ნდობას უკარგავთ ხალხსაო.

შადრინსკი. ბევრი ხალხი მოდის ირბიტის ბაზრობაზე. შარშანდელზე ერთი-ორად მეტი საქონელი მოაქვთ. ციმბირისათვის დიდ-ძალ საქონელს ჰყიდულობენ.

პეტერბურგი. 24 იანვარს საიმპერატორო ერმიტაჟში პირველი წარმოდგენა გამართეს მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით. —კანონთა მესამე სრულის კრებულის მე XX ტომი გამოიცა

26 იანვარი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნ,“-ში დაბეჭდილია, რომ სენატორს ცეეს უმაღლესის რესკრიპტით უბოძა ანდრია პირველ წოდებულის ორდენი.

გამოცხადდა სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახაზინო ოქროს ჩამომსხმელ ლაბორატორიების დაარსებისა და სამთო წესდებაში ზოგიერთ ცვლილების მოხდენის შესახებ.

სოფია. საერო კრებამ გადასწყვიტა დაესწროს კარაველოვის დასაფლავებას და სხდომა შესწყვიტა მწუხარების ნიშნად. დასაფლავება ხვალ იქნება.

ჟენევა. კრონპრინცესას რწმუნებულებს კრონპრინცის წარმომადგენელისაგან დეპეშა მოუვიდათ, რომლით ატყობინებს, რომ მისი უმაღლესობა კრონპრინცესსას ავადმყოფი შვილის ნახვის ნებას არ აძლევს.

ფილიპპოპოლი. სულთანის ბრძანების თანახმად, ჯარის რეორგანიზაციისათვის საჭირო ხარჯის შესავსებლად გადაიდება 6% სახელმწიფო ქონებათა შემოსავლისაგან.

ბრიუსელი. რადგან ერთი ნაფიც მსაჯულთაგანი ავად გახდა, რუბინოს საქმის განხილვა სამშაბათამდი გადიდვა.

დრეზდენი. „დრეზდენერ ჟურნალი“ იტყობინება, რომ ის ფაქტები, რომელნიც გამოაქვეყნეს კრონპრინცესსას რწმუნებულებმა, სრულიად არ სცვლიან მეფის ოჯახისა და კრონპრინცესსას შუა არსებულს ურთიერთობას. განქორწინების შესახებ საქმე გაგრძელებულ იქნება. მთავარ სფერებში ამბობენ, რომ კრონპრინცესსას დაბრუნების შესახებ ფიქრიც არ შეიძლებაო. სასამართლოს დადგენილების შემდეგ მეფის ნებაზე იქნება ოდესმე მომავალში ნება მისცეს კრონპრინცესსას შვილები ნახოს.

ლონდონი. გასეირნება მეფეს ძალიან მოუხდა. ბიულეტენების ბეჭდვა მოისპო.

სტამბოლი. ინგლისმა ისევ მიაქცია ოსმალეთის მთავრობის ყურადღება იმაზე, რომ წითელ ზღვაზე ავაზაკობის მოსასპობლად საკმაო ღონისძიება არაა მიღებული; ინგლისი აცხადებს, რომ თუ საქმე ასეთსავე მდგომარეობაში დარჩა, ის იძულებული გახდება თვით იღონოს ღონე ავაზაკების მოსასპობლად.

27 იანვარი.

პეტერბურგი. 26 იანვარს იდღესასწაულეს ბარონ გიორგი გინც-ბურგის 40 წლის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა. დღესასწაული კონსერვატორიის დარბაზში მოხდა. იუბილიარს ებოძა წმ. ანნას პირველი ხარისხის ორდენი. მოულოცა ფინანსთა მინისტრმა დღესასწაულს 600 სული დაესწრო და 55 დეპუტაცია.

კიევი. მატარებლით მოასვენეს მიტროპოლიტი თეოგნოსტის გვამი, რომელსაც დაუხვდნენ: ყოვლად უსამღვდელოესობა პლატონი, ოთხი არქიმანდრიტი, ბერები და სამღვდელოება, გუბერნატორი, ქალაქის თავი და ქალაქის სამხედრო უწყებათა წარმომადგენელნი. სამგლოვიარო პროცესიამ გალობით გასწია სოფიოს ტაძრისაკენ. ასტყდა ზარის რეკა. ვლადიმირის ტაძართან წაკითხულ იქმნა სახარება. ეკკლესიიდგან გვამს შეეგება ხარკოვის არქიეპისკოპოსი ფლაბიანე და სილიბისტრო. სოფიოს ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. დაკრძალვენ კიევის პეჩორის ლავრაში სამშაბათს.

ყაზანი. დაიწყო თავად-აზნაურთა კრება. გაეგზავნა უქვეშევრდომილესი დეპეშა განუსაზღვრელი ერთგულების გამოსაცხადებლად მისი უდიდებულესობის მიერ სიტყვისათვის კურსკის სადგურზე. სახალხო განათლების შესახებ თავად-აზნაურობამ დაადგინა, რომ მასწავლებლები თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანხმობით ინიშნებოდნენ.

სტამბოლი ამბობენ,—პორტამ ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ 5—14 მარტს აჯანყება მოხდება მაკედონიაშიო, ამგვარი ხმები სიცრუეაო, ამბობს პორტა.

მონპოლიე. მარგერიტის მეამბოხეთა შორის 80 გაამართლეს, 4 სამუდამო კატორღა გარდაუწყვიტეს, 7-ს—5—15 წლამდე კატორღა, ორს—5 წლის ციხე, ხუთს—5 6 თვიდგან ორ წლამდე ციხე. დარჩა 27 დამნაშავის საქმე განურჩეველი.

მოსკოვი. 26 იანვარს გზათა მინისტრის თანადასწრებით მაშინის ქარხნის მართველობამ იდღესასწაულა სამი ათას პირველი ნომრის ორთქლ-მავალის გაკეთება. დღესასწაულს თან მოჰყვა ქარხნის სასწავლებელთან ტეხნიკური კლასების ათი სტიპენდიის დაარსება. ორი საათით შემცირებულ იქმნა აგრეთვე სამუშაო დღე.

ოდესა. მეღვინეთა და მევენახეთა კრებას დაერქვა სრულიად რუსეთის კრება. ჯერ-ჯერობით 241 წევრია.

რომი. მუშამ ბარადინომ გამოიგონა ისეთი იარაღი, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება დაძირული გემას მოძებნა და ნახვა.

ბლუმფონტეინი. ჩემბერლენმა არ მიიღო პეტიცია, რომელშიაც სჩიოდენ ბურები გადასახადების აუტანლობას. დევეტმა და პიტმა განაცხადეს, (რომ სანამდე ბურების წარმომადგენლებად ითვლებიან), არ დაცხრებიან, სანამ ხალხს არ აჯანყებენ მთავრობის წინაალმდეგ.

ვაშინგტონი. ამბობენ ვენესუელას საქმე მალე გათავდებაო. სამედიატორო მოსამართლედ უსათუოდ საგარეო საქმეთა მინისტრი იქმნება არჩეულიო.

ბერლინი. შუაგულ აზიის გამომკვლეველმა სვენხერინმა გეოგრაფიულ საზოგადოებაში მოხსენება წარადგინა. ამავე საზოგადოებამ სვენხერინი საპატიო წევრად ამოირჩია და ნახტიგალიის ორდენი უბოძა იმპერატორმა უბოძა მეორე ხარისხის „კორონის“ ორდენი ვარსკვლავებით.

პეტერბურგის ბირჟა, 24 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,05
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში „	46,27 1/2
პარიჟში „	37,70
ბირჟის დისკონტი	5—6 1/2%
4% სახელმწიფო რენტა	98 1/8 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100 3/4 გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 1/2 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	308 3/4 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 90 7/8 გაყ.
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	397 წვრ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	192 1/2 გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3(საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. გ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა. 6—5.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კოსტანტინე [illegible], თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ლაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50
И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова.	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	60	„

Дозволено цензурою Тифлисъ, 27 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი